პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

3 მარტი, შაბათი, 1987 წ.
№ 43 (9454) ფასი 3 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

## ყრილობამ მუშაობა დაამთავრა

**27 თებერვალს** სსრ კავშირის პროფკავშირთა XVIII ყრილობამ მუშაობა განაგრძო. კრემლის ყრილობათა სასახლეში გამართულ პლენარულ სხდომებზე, ექვს სექციაში განიხილებოდა უმნიშვნელოვანესი ამოცანები, რომლებიც საბჭოთა პროფკავშირებს დაუსახა სკკპ XXVII ყრილობამ, მ. ს. გორბაჩოვის სიტყვამ პროფკავშირთა ყრილობაზე.

**28 თებერვალს** პირველი პლენუმი გამართა საბჭოთა კავშირის პროფესიულ კავშირთა ცენტრალურმა საბჭომ, რომელიც სსრ კავშირის პროფკავშირთა XVIII ყრილობამ აირჩია.

პლენუმმა ერთხმად აირჩია საკავშირო პროფსაბჭოს პრეზიდიუმი შემდეგი შემადგენლობით: საკავშირო პროფსაბჭოს თავმჯდომარედ არჩეულია ს. ა. შალაევი, საკავშირო პროფსაბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ — ვ. გ. ლომონოსოვი, საკავშირო პროფსაბჭოს მდივნებად არჩეული არიან გ. ი. იანაევი, ლ. დ. კაზაკოვი, ი. ე. კლოჩკოვი, ვ. ნ. მაქეევი, ვ. მ. მიშინი, ვ. პ. პროვოტოროვი, მ. ბ. რიჟიკოვი, გ. თ. სუხორუჩენკოვა, ტ. ტურისოვი.

საკავშირო პროფსაბჭოს პრეზიდიუმის წევრებად არჩეული არიან ვ. ს. ალეშნიკოვი, ხ. ალიმოვა, ფ. მ. გერასიმოვა, ი. ი. გლადკი, ვ. ი. გონჩარიკი, ნ. ტ. დოლგუშკინი, ი. ი. ვოლოდინა, ა. მ. იაკოვლევი, ვ. ტ. ივანოვი, ა. ი. იშლინსკი, მ. ვ. იხარლოვა, მ. ტ. კონოვა, ვ. ი. კორეგოვი, ი. მ. კულემინი, ნ. ვ. ნემჩენკო, ბ. ს. პაროფიონოვი, ა. ი. პეტროვიჩევა, ა. ს. პოტაპოვი, ე. ქაქსელეკოვი, ლ. ხ. რასულოვა, ა. ი. რიბაკოვი, ვ. ა. სოლოგუბი, მ. ა. სრებნი, ვ. ნ. ტუზოვი, ი. ა. შინკევიჩი, ვ. პ. შჩერბაკოვი.

პლენუმის მუშაობაში მონაწილეობდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ი. ტ. ლიგაჩოვი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი გ. პ. რაზუმოვსკი.

გაიმართა აგრეთვე სსრ კავშირის პროფკავშირთა ცენტრალური სარევიზიო კომისიის სხდომა. კომისიის თავმჯდომარედ არჩეულია ლ. ა. კუბიაკი.

ყრილობის ბოლო დღეს, დამთავრდა საკავშირო პროფსაბჭოს და ცენტრალური სარევიზიო კომისიის ანგარიშების განხილვა.

• • •

ყრილობის საბოლოო სხდომაზე მოისმინეს ინფორმაცია ხელმძღვანელი ორგანოების არჩევნების შედეგების შესახებ. საკავშირო პროფსაბჭოს საორგანიზაციო პლენუმზე საკავშირო პროფსაბჭოს თავმჯდომარედ აირჩიეს ს. ა. შალაევი. მანვე წარმოსთქვა საბოლოო სიტყვა.

(საქინფორმი).

## მთავარი პრიზი ზაზა თურმანიძეს



თავისუფალი სტილის მოჭიდავეთა ეს ტურნირი ბელორუსიის დედაქალაქში უკვე მეთვრამეტედ ჩატარდა. სამგზის ოლიმპიური ჩემპიონის ალექსანდრე მედვედის სახელი უცხოეთში დიდად ფასობს და მისი სახელობის შეჯიბრებაში მონაწილეობა ყველას ღირსების საქმედ მიაჩნია.

წლევანდელ ასპარეზობაში, რომელიც ამ დღეებში მინსკში მოეწყო, საბჭოთა ათლეტების გარდა ავღანეთის, ბულგარეთის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, სირიის, პოლონეთის, ჩეხოსლოვაკიისა და იაპონიის წარმომადგენლებიც გამოვიდნენ. გუნდური გამარჯვება, როგორც მოსალოდნელი იყო, საბჭოთა მოჭიდავეებმა მოიპოვეს (ათი წონითი კატეგორიიდან ცხრაში პირველები იყვნენ), ყველაზე პრესტიჟულ წონაში კი (ალექსანდრე მედვედი მეტწილად მძიმე წონით კატეგორიაში გამოდიოდა) პირველი ადგილი თბილისელმა ზაზა თურმანიძემ დაისაკუთრა.

გთავაზობთ გამარჯვებულთა გვარებს წონითი კატეგორიების მიხედვით: კიმ სუნ ჩელი (კორეის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკა), სერგეი ზაზბალოვი (ირკუტსკი), კამალუტდინ აბდულდაუდოვი (მინსკი), სტეპან სარქისიანი (ერევანი), ვიქტორ კრეიდიჩი (მინსკი), გამზათ ხაზაევი, ლუკმან ჟაბრაილოვი (ორივე — მახაჩკალა), ანდრეი გოლოვკო (კიევი), ალიკო მუზიკაშვილი (გროზნო) და ზაზა თურმანიძე (თბილისი).

## ინტერნაციონალური დუეტი

ეროვნული ბიბლიოთეკა

**რუსუდან** ხოფერიამ ბოლო 7 თვეში, ქართველი ბატუტისტებიდან პირველმა, სამი მწვერვალი დაიპყრო. შარშან სსრ კავშირის ხალხთა IX სპარტაკიადაზე, 13 წლის თბილისელმა მოსწავლემ სპარტაკიადის ჩემპიონობა მოიპოვა, ერთი თვის შემდეგ ევროპის იუნიორთა პირველობაზე გუნდური ოქროს მედალი და სინქრონულ წყვილთა შორის მეორე ადგილი დაისაკუთრა. ახლაენა მეტკულოვა. ეს გამარჯვება მით უფრო მნიშვნელოვანია, რომ ტატიანა და ელენა გასული წლის მსოფლიო ჩემპიონები არიან სინქრონულ ხტომებში. ტატიანა მსოფლიო ჩემპიონია ინდივიდუალურ ასპარეზობაშიც.

ბრძოლა ძველ მეტოქეებს შორის დაძაბულად წარიმართა. სავალდებულო პროგრამის შემდეგ რუსუდანი და ირინა მეორე ადგილზე



სურათზე: მარცხნიდან — საქართველოს ნაკრების უფროსი მწვრთნელი თენგიზ სუდოევი, რუსუდან ხოფერია, ნინო შერმადინი, ლია ბენდიანიშვილი, ანა დოლონაძე, ზაურ სულაშვილი (მწვრთნელი) და მიხეილ პალივანოვი.

ხან კი, როგორც იცით, კვლავ ახალი წარმატებით გაგვახარა — მოგილიოვში გამართულ საკავშირო თასის გათამაშებაში კრასნოდარელ ირინა სლონოვასთან ერთად პირველი ადგილი ხვდა წილად. ინდივიდუალურ შეჯიბრებაში კი კვარცხლბეკის მესამე საფეხურზე ავიდა. ასეთი წარმატებისთვის ჩვენი რესპუბლიკის ბატუტისტებიდან დღემდე არავის მიუღწევია. მოგილიოვში რუსუდანმა და ირინამ დაამარცხეს შარშანდელი მეტოქეები, ევროპის იუნიორთა პირველობაში გამარჯვებული ვორონეჟელი ტატიანა ლუშინა და ლენინგრადელი ელიყვნენ — 1,2 ქულით ჩამორჩებოდნენ ტატიანასა და ელენას. ფინალურ შეჯიბრებაში შესრულებული ორი ვარჯიშით რუსუდანმა და მისმა მეწყვილემ არამარტო გაათანაბრეს მდგომარეობა, საბოლოო ჯამში ნახევარი ქულითაც გაუსწრეს მეტოქეს. აღსანიშნავია, რომ გამარჯვებული წყვილი 9,2 კოეფიციენტის სირთულის ვარჯიშებს ასრულებდა, ხოლო მეტოქეები

იხ. მე.2 გვ.

## გუშინ, დღეს, ხვალ

● **დღეს, 17 საათზე,** საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ფედერაცია აწყობს პრეს-კონფერენციას ლანჩხუთის „გურიის“ უფროს მწვრთნელ ალექსანდრე კოტრიკაძესთან. ცნობებისათვის დარეკეთ: 93-97-50.

● **ხვალ** თბილისის ჭადრაკის სასახლეში დაიწყება საქართველოს მოჭადრაკე ქალთა ჩემპიონატი. შეჯიბრებაში მონაწილეობას მიიღებენ სპორტსმენები, რომლებმაც წინასწარ შეჯიბრებებში მოიპოვეს ფინალის საგზური.

● **გუშინ** მოსკოვიდან ლანჩხუთში ჩავიდა სპეციალური კომისია, რომელიც შეამოწმებს ახალი საფეხბურთო სეზონისათვის „გურიის“ სტადიონის მზადყოფნას.

## ოლეგ სტრიჟაკოვს ბრინჯაოს მედალი

**ესენტუკი.** საბჭოთა კავშირის ჩემპიონატმა მძლეოსნურ კროსში 350-ზე მეტ სპორტსმენს მოუყარა თავი. შეჯიბრება ჩატარდა მწვავედ და დაძაბულად.

ვაჟები ერთმანეთს 12-კილომეტრიან დისტანციაზე ეპაექრებოდნენ. ოქროს მედალი ლენინგრადელმა მ. დასკომ მოიპოვა — 35.11,0. მეორე ადგილზე მინსკელი ვ. ჩუმაკოვი გავიდა — 35.12,5. ბრინჯაოს მედალი კი თბილისელ სტაიერს ოლეგ სტრიჟაკოვს ხვდა — 35.15,0.

ქალთა შეჯიბრება 5 კილომეტრზე ვოლგოგრადელმა ე. რომანოვამ მოიგო — 15.45,0. იუნიორთა შორის 8 კილომეტრზე ასპარეზობაში უძლიერესი ვ. პეტროვი (უფა) იყო — 23.46,0, გოგონებში კი (4-კილომეტრიან დისტანციაზე) ასევე უფელი რ. ჟანგილდინა — 15.35,0.

გუნდური გამარჯვება რუსეთის ფედერაციის ნაკრებმა მოიპოვა.

## უნივერსიადის სტარტი




**ტატრები** (ჩეხოსლოვაკია). სტუდენტთა ზამთრის თამაშებში (უნივერსიადა) მსოფლიოს ოთხი კონტინენტის 33 ქვეყნის ახალგაზრდა სპორტსმენები მონაწილეობდნენ. ყველაზე ხალხმრავალი დელეგაცია, ცხადია, შეჯიბრების მასპინძლებს ჰყავდათ. ჩეხოსლოვაკიის სპორტულ ღირსებას ზამთრის სახეობების 74 წარმომადგენელი იცავდა.

საბჭოთა კავშირმა 62 სპორტსმენი გამოიყვანა, იუგოსლავიამ — 48, ამერიკის შეერთებულმა შტატებმა — 46 და ა. შ. ჩამოვიდნენ „მინი დელეგაციებიც“. მექსიკა, მაგალითად ჩეხოსლოვაკიის თოვლიან ტრასებზე ერთად-ერთი სპორტსმენით იყო წარმოდგენილი, ბრაზილიამ და კუვეიტმა კი უნივერსიადაზე მხოლოდ საპატიო სტუმრები მიავლინეს. ეს გასაგებიც არის. იმ ქვეყნებში, სადაც ზამთარი არ იციან, არც ზამთრის სახეობებია განვითარებული. სულ სხვა მდგომარეობა იქნება ზაფხულის უნივერსიადაზე, რომელსაც წლეულს იუგოსლავიის ქალაქი ზაგრები უმასპინძლებს, მაგრამ მასზე საუბარი ჯერ ადრეა.

ზამთრის უნივერსიადაში, როგორც მოსალოდნელი იყო, სხვებზე უკეთ შეჯიბრების მასპინძლები გამოვიდნენ. ჩეხოსლოვაკიელებმა 15 ოქროს, 6 ვერცხლისა და 5 ბრინჯაოს მედალი მოიპოვეს. საბჭოთა სპორტსმენებს 6 ოქროს, 8 ვერცხლისა და 4 ბრინჯაოს მედალი გადაეცათ.



საბჭოთა კავშირის ჩემპიონატი კალათბურთში

## ჩვენი დღევანდელი მეტოქე

**დღეს** თბილისის სპორტის სასახლეში გაიმართება უმაღლესი ლიგის კალათბურთელ ვაჟთა საკავშირო ჩემპიონატის ფინალური ტურნირის მორიგი მატჩი. თბილისის „დინამო“ გათამაშების ლიდერს მოსკოვის ცსკა-ს უმასპინძლებს.

თბილისის „დინამო“ და ცსკა ერთმანეთს 92-ჯერ შეხვდნენ. 70 შეხვედრა არმიელებმა მოიგეს, 22 — დინამოელებმა. განსაკუთრებით დასამახსოვრებელი იყო 1983 წლის 27 სექტემბრის შეხვედრა, რომელიც თბილისელებმა მოიგეს ანგარიშით 99:96. ამ მატჩში ნ. დერიუგინმა თავის კოლექტივს 47 ქულა შესძინა.

წლევანდელ სეზონში მეტოქეები მეექვსედ ხვდებიან ერთმანეთს (ერთხელ მათ საბჭოთა კავშირის თასზე ითამაშეს). ხუთ წინა მატჩში გამარჯვება მოსკოველებს დარჩათ.

## +1 ახალი აუზი მუშაობას შეუდგა

ბორჯომში მწყობრში ჩადგა საცურაო აუზი, რომელიც ცურვის ადგილობრივი მოყვარულების გარდა რესპუბლიკის ნაკრებ გუნდებსაც მოემსახურება. ბაზის საზეიმო გახსნისას მოეწყო საჩვენებელი გამოსვლები. მუშაობას შეუდგა საბონემენტო-გამაჯანსაღებელი ჯგუფები. მოწვეულია სპეციალისტები, რომლებიც ბორჯომელი მოზარდების სპორტულ დაოსტატებას გაუძღვებიან. მომავალში ბორჯომელებს პრაქტიკული დახმარება უნდა გაუწიოს სპორტსაზკომის შესაბამისმა განყოფილებამ და ცურვის რესპუბლიკურმა ფედერაციამ.



**თბილისში** ჩამოვიდნენ კანადელი მოყვარული მოჭადრაკეები. მათ შორისაა 1984 წლის მსოფლიო ჩემპიონატის მონაწილე ჯონათან ბერი. შაბათს სტუმრებს შეხვედრა მოუწყვეს ჭადრაკის სასახლეში. კანადელ კოლეგებს შეკითხვებზე უპასუხა მსოფლიოს ექსჩემპიონმა ნონა გაფრინდაშვილმა. სტუმრები დაესწრნენ ჭადრაკის სექციის მუშაობას, დაათვალიერეს ჭადრაკის სასახლე. შემდეგ ქართველი და კანადელი მოჭადრაკეები ბლიც ტურნირში შეხვდნენ ერთმანეთს.

სურათებზე: კანადელი მოჭადრაკეები თბილისის ჭადრაკის სასახლეში.

ალექსანდრე კოტორაშვილის
ტექსტი და ფოტოები.



„თანამედროვე პირობებში, როცა სულ უფრო სრულად ვლინდება ჩვენი სოციალისტური წყობილების ალმშენებლობითი ძალები, საბჭოთა ცხოვრების წესის უპირატესობა, განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს კომუნისტური მორალისა და ზნეობის პრინციპების მკაცრად დაცვა, მავნე ჩვეულებებისა და გადმონაშთების, უწინარეს ყოვლისა ისეთი მახინჯი გამოვლინების დაძლევა, როგორიცაა ლოთობა, სპირტიანი სასმელების ბოროტად გამოყენება".

ლოთობისა და ალკოჰოლიზმის დაძლევის ღონისძიებათა შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებიდან.

**ჯანმრთელობის ფასი რა არის...**

# ალკოჰოლიზმის კლანჭებში

**სპორტის** ოსტატი, ჭიდაობაში საქართველოს ჩემპიონი ე. ბ. ალკოჰოლს ეტანებოდა. არაერთი გაფრთხილების მიუხედავად, ეს მავნე ჩვევა ვერ მოიშალა, რისთვისაც იგი ნაკრებიდან გარიცხეს. ამის შემდეგ ე. ბ-მ ფაბრიკაში დაიწყო მუშაობა, მაგრამ სმას მაინც ვერ გადაეჩვია. და აი, დღეს იგი ჩვენი ნარკოლოგიური კლინიკის პაციენტია.

მეორე შემთხვევა: საქართველოს ფეხბურთელთა ნაკრების ყოფილმა წევრმა, 45 წლის გ. ნ-მ, რომელიც მწვრთნელად მუშაობდა სამრეწველო ტექნიკუმში, იმის გამო, რომ სასმელს ეტანებოდა, ფეხბურთს თავი დაანება. 1985 წელს იგი ჩვენთან მოიყვანეს ფსიქოზურ მდგომარეობაში, მკვეთრად გამოხატული მხედველობითი და სმენითი ჰალუცინაციებით. „ხედავდა", როგორ ესეოდნენ მწერები, ცდილობდა მათ მოგერიებას, მაგრამ ვერ ახერხებდა. ზოგჯერ საწოლში გრძნობდა ქვეწარმავლის ცივ შეხებას, ესმოდა ხმები: მას ლანძღავდნენ, შეურაცხყოფას აყენებდნენ. ეს ხმები ბჭობდნენ ერთმანეთში და სასტიკი განაჩენი გამოჰქონდათ: საკეპ მანქანაში უპირებდნენ საკატლეტედ გატარებას. ამას დაერთო საკმაოდ მძიმე ფორმებში გამოხატული გულსისხლძარღვთა სისტემის უკმარისობა, გართულებული ფილტვების ანთება, რაც ალკოჰოლიზმით დაავადებულებს შორის ხშირია ორგანიზმის საერთო დასუსტების გამო. მოყვანილი მაგალითი ტიპიურია. ალკოჰოლური ფსიქოზით დაავადებულთა მკურნალობა მოითხოვს სამედიცინო პერსონალის ძალთა მაქსიმალურ დაძაბვას. იმისათვის, რომ ავადმყოფს სიცოცხლე შევუნარჩუნოთ და გამოკეთების გზაზე დავაყენოთ, საჭიროა ხანგრძლივი მკურნალობა.

კიდევ ერთი შემთხვევა: 33 წლის გ. ვ. სპორტის ოსტატი ცურვაში, ხშირად სვამდა ღვინოს და შამპანურს, რაც დროთა განმავლობაში ჩვევად ექცა. მალე მან აქტიური სპორტი მიატოვა. ბოლო ექვსი წლის მანძილზე საცურაო აუზში მწვრთნელად მუშაობდა, მაგრამ ლოთობას ვერ გადაეჩვია და სამსახურის ადმინისტრაციამ დახმარებისთვის ჩვენ მოგვმართა. ავადმყოფს ოჯახი დაენგრა (ცოლ-შვილმა მიატოვა), იმედი გვაქვს, მკურნალობა სასურველ შედეგს მოგვცემს, თუმცა ნორმალურ ცხოვრებაში დასაბრუნებელი გზა მძიმეა და გრძელი — საჭიროა სპორტის საშუალებით გამომუშავებული ნებისყოფის აღდგენა.

როდესაც ავადმყოფი ჩვენთან მოდის სამკურნალოდ, პირველ რიგში ვცდილობთ მისი ორგანიზმიდან შხამი გამოვდევნოთ. მკურნალობის მომდევნო ეტაპზე, ფსიქოთერაპიული და სხვადასხვა აღმზრდელობითი მეთოდების გამოყენებით, ყურადღება ეთმობა პაციენტის შელახული თავმოყვარეობის აღდგენას. მან უნდა შეიგნოს თავისი შეცდომები და გონივრულად მიუდგეს მკურნალობის აუცილებლობას. სხვანაირად მასზე ზეგავლენის მოხდენა გაგვიჭირდება. ჩვენი მიზანია პიროვნება დავუბრუნოთ ჯანსაღ ცხოვრებას — სამსახურს, კოლექტივს, ოჯახს.

ალკოჰოლიზმით დაავადებულთა მკურნალობის კურსში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი უკავია დილის ვარჯიშს. ავადმყოფი გარკვეულ დროს ატარებს სპორტულ დარბაზში, იმართება შეჯიბრებები განყოფილებებს შორის ფრენბურთში, კალათბურთში, მაგიდის ჩოგბურთში. ეს თამაშები ავადმყოფს ააქტიურებს, იწვევს მისი სხეულის კუნთოვანი სისტემის მობილიზაციას, რაც ადამიანის კომპენსატორული ძალების აღორძინებას უწყობს ხელს. გარდა ამისა, თამაში და შეჯიბრება ავადმყოფს უღვივებს ჯანსაღ სურვილებს და მისწრაფებებს, ხდება მისი ყურადღების გადანაცვლება უარყოფითიდან დადებითზე, იღვიძებს სასარგებლო შრომის ფერხულში ჩაბმის სურვილი. ავადმყოფს სინდისი ჰქენჯნის, თავს დამნაშავედ გრძნობს ოჯახის წევრების, ტოლმეგობრების წინაშე. აი, ასე თანდათან ვაღწევთ მიზანს. ყოველივე ამას დიდი დრო და რესურსები — მატერიალური და სულიერი — სჭირდება.

ამიტომ მინდა ახალგაზრდები გავაფრთხილო: დიდი სპორტისკენ მიმავალ გზას ვერ შეუდგება ის, ვისაც სუსტი ნებისყოფა აქვს და ადვილად ხვდება ალკოჰოლის, თამბაქოსა და ნარკოტიკების ტყვეობაში.

**ნ. სავანელი,**
**მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, ფსიქიატრიის ინსტიტუტის ნარკოლოგიური განყოფილების ხელმძღვანელი.**

# ფოთელთა სერიოზული განაცხადი

**საქართველოში კრივის გავრცელების არეალი სულ უფრო იზრდება. სპორტის ამ სახეობისადმი ადრინდელი დამოკიდებულება თანდათან იცვლება და ტყავის ხელთათმანი და რინგი მრავალ მოყვარულს იკრებს.**

ფოთში კრივი დღეს ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული სახეობაა. სპორტსაზოგადოება „ვოდნიკთან" დაარსდა კრივის სკოლა, პარალელურად შეიქმნა განათლების სამინისტროს სპორტსკოლის რამდენიმე ჯგუფი, რომელშიც 400-ზე მეტი ბავშვი ვარჯიშობს. მართალია, ყველა მათგანი დიდი სპორტსმენი ვერ გახდება, მაგრამ ხელმოცარული არავინ დარჩება, რადგან კრივი ადამიანს ძლიერ პიროვნებად აყალიბებს არა მხოლოდ ფიზიკურად, არამედ სულიერადაც.

— ფოთელმა მოკრივეებმა კავშირის მასშტაბით გაითქვეს სახელი, — გვითხრა „ვოდნიკის" კრივის სპორტსკოლის დირექტორმა, საქართველოს დამსახურებულმა მწვრთნელმა ტარიელ ვერულაშვილმა — სპორტის ამ სახეობას თავის დროზე დიდი ენთუზიასტი ლევან თავაძე გამოუჩნდა. დიდი ამაგი მიუძღვის ინჟინერ იური ლალიძესაც, რომელმაც საკუთარი ინიციატივით გახსნა რამდენიმე ჯგუფი, სწორედ ამ ჯგუფების საფუძველზე შეიქმნა კრივის სკოლა.

სკოლის დირექტორი ფოტოალბომს მაწვდის. ამ მცირე დროში მართლაც როგორ დაუპყრია კრივს ეს პატარა ქალაქი! სად არ გამოსულან ფოთელი სპორტსმენები, რამდენი გამარჯვება უზეიმიათ საერთაშორისო და საკავშირო შეჯიბრებებში...

ალბომში იური სავოჩკინის რამდენიმე სურათია ჩაკრული. იგი დღეს ერთ-ერთ პერსპექტიულ მოკრივედ ითვლება. მართალია, ამას წინათ კაუნასში გამართულ საკავშირო ჩემპიონატში იური საბჭოთა კავშირის ჩემპიონთან ვიქტორ იანოვსკისთან ბრძოლაში დამარცხდა, მაგრამ ეს მის დამსახურებას არ ამცირებს. იური საბჭოთა კავშირის თასის მფლობელია, შარშან კი, ალმა-ათაში გამართულ საკავშირო ჩემპიონატში ბრინჯაოს მედალი მოიპოვა, ეს შედეგი მან კეთილი ნების თამაშებზეც გაიმეორა.

იურის გვერდით დღითიდღე ხვეწენ ოსტატობას ვასილ აბრამიძე, კახაბერ ფარღალავა, გოჩა აბრამიძე, ვალერი ხიმშიაშვილი, პაატა



გაგიაშვილი. ლევან თავაძის აღზრდილმა ალბერტ ოჩიგავამ საბჭოთა კავშირის მოზარდთა პირველობაზე ვერცხლის მედალი დაისაკუთრა, ბესო ღურჯიამ კი ჭაბუკთა I საკავშირო თამაშებში ისახელა თავი — მანაც II ადგილი დაიკავა.

ერთი სიტყვით, უყვართ კრივი ფოთელებს. ამ სახეობის პოპულარობა ქალაქში დღითიდღე იზრდება. მწვრთნელები ამ სახეობაში ვარჯიშის მსურველებს ვერ აუდიან. მხოლოდ ერთი სურვილი აქვთ კრივის აქაურ მესვეურებს: თუ ფოთში ხშირად ჩატარდება რესპუბლიკური და საკავშირო მნიშვნელობის შეჯიბრებები, ამხანაგური მატჩები, საქმე სწრაფად წავა წინ, კიდევ უფრო მეტ პერსპექტიულ ჭაბუკს მოიზიდავენ რინგზე.

**ნუგზარ ჟვანია,**
**„ლელოს" ზონალური კორესპონდენტი.**

ფოთი.

# ინტერნაციონალური დუეტი

დასასრული

ერთი კოეფიციენტით ნაკლები სირთულისას.

რუსუდან ხოფერიას წარმატებებს უკვე შევეჩვიეთ, აი, მცხეთის პირველი საშუალო სკოლის მერვეკლასელმა, საბჭოთა კავშირის იუნიორთა ნაკრების წევრმა ანა დოგონაძემ კი სწორედ რომ სიურპრიზი შემოგვთავაზა. ანა 1973 წელსაა დაბადებული და ამის გამო შეჯიბრებაზე მხოლოდ კონკურსგარეშე დაუშვეს. მიუხედავად ამისა, მისმა რთულმა, დახვეწილმა ვარჯიშებმა მოხიბლა როგორც მაყურებლები, ისე სპეციალისტები. შეჯიბრების დებიუტანტი მხოლოდ ექვსი მეათედი ქულით ჩამორჩა გამარჯვებულს — საერთაშორისო შეჯიბრებებში გამობრძმედილ ტატიანა ლუშინას. აღსანიშნავია, რომ ანამ შეჯიბრებაში მონაწილეთა შორის ყველაზე მაღალი ქულა მიიღო სავალდებულო პროგრამაში. იმის გამო, რომ შეჯიბრებაში კონკურსგარეშე გამოდიოდა, გოგონას ოფიციალურად მეორე ადგილი არ რგებია, მაგრამ საქმე ის არის, რომ ბატუტზე ხტომის ქართველ ოსტატებს კიდევ ერთი ლიდერი შეემატა. ინდივიდუალურ შეჯიბრებაში მეორე ადგილი დაიკავა მერკულოვამ, მესამე — ხოფერიამ. ჩვენი გოგონებიდან ფინალურ შეჯიბრებაში კიდევ ერთმა სპორტსმენმა, ლია ბენდიანიშვილმა იასპარეზა. მან მე-9 ადგილი დაიკავა. გუნდის მეოთხე წევრმა, ნინო შერმადინმა მხოლოდ ნახევარფინალამდე მიაღწია.

შედარებით მოკრძალებული შედეგები აჩვენეს ჩვენმა ვაჟებმა. 81 ვაჟიდან საპატიო მე-7 ადგილი დაიკავა მიხეილ პელივანოვმა, ზაზა აბრამიშვილმა — 25-ე. ზაზა და მიხეილი სინქრონულ ხტომებში მე-16 ადგილზე გავიდნენ.

შეჯიბრებაზე დაწესებული პრიზი ყველაზე რთული ვარჯიშისთვის (11,2 კოეფიციენტი) მიეკუთვნა რუსუდან ხოფერიას, ხოლო პრიზი საუკეთესო ტექნიკისათვის ანა დოგონაძეს გადაეცა.

გუნდი შეჯიბრებისათვის მოამზადეს საქართველოს ნაკრების უფროსმა მწვრთნელმა თენგიზ ხუდოევამ, ზაურ ხულაშვილმა და ევრაპიძე გალჩევმა.

**შორენა ბაკურაძე.**

# ყველა ერთ საქმეს ვემსახურებით

**დინამოელებს** ბაკურიანში ახალ სამთო-სათხილამურო ბაზაზე ვეწვიეთ. ეს ლამაზი შენობა შარშან სექტემბერში ჩადგა მწყობრში. ფართო, ნათელ ჰოლებში, კეთილმოწყობილ ნომრებში სისუფთავე და სიმყუდროვეა.

მწვრთნელთა ოთახში ხუთნი დამიხვდნენ, მათგან სამი მალე გამოგვემშვიდობა, ვარჯიშზე გვეჩქარებაო. „დინამოს" მწვრთნელს გრიგოლ ასლანიანს და უმაღლესი სპორტული დაოსტატების სკოლის მწვრთნელს დიმიტრი სოტიშვილს ქართულ სამთო-სათხილამურო სპორტში არსებულ პრობლემებზე და პესპექტივებზე ჩამოვუგდე სიტყვა. გრიგოლ ასლანიანი ოპტიმისტურადაა განწყობილი: „მართალია, ჯერ კიდევ ბევრი რამ გვიშლის ხელს მუშაობაში, მაგრამ რაც ბოლო 3-4 წელს გაკეთდა, იმის დაუფასებლობა უმადურობა იქნებოდა. რად გვიღირს თუნდაც ეს ახალი ბაზა. ყველაზე მეტად მაინც ცხრაწყაროს 40-ადგილიანმა ბაზამ გაგვახარა, რომელიც ჩვენი სპორტსაზოგადოების რესპუბლიკურმა საბჭომ აგვიშენა. სხვათა შორის, მშენებლებს მწვრთნელებიც ვეხმარებოდით — ერთი სული გვქონდა სანამ სამუშაოებს დავამთავრებდით. ცხრაწყაროს ულელტეხილზე თოვლი ხომ ივნისის ბოლომდე დევს. და აი, უკვე ჩვენს განკარგულებაშია 700-მეტრიანი სათხილამურო ტრასა თავისი საბაგირო გზით. სულ სამი საბაგირო ხიდი გვაქვს, რომლებიც საჭიროების მიხედვით შეგვიძლია ერთი ადგილიდან მეორე ადგილზე გადავიტანოთ. სამივე ძრავა ჩვენი ხელით ავაწყვეთ. მათგან ორი დღეს ბაკურიანის პარკში დგას, 360-მეტრიან სავარჯიშო ტრასაზე. პარკში უკვე მთავრდება სტაციონალური საბაგირო ხაზის მონტაჟი. იქვე დავდგით პატარა სამოთახიანი კოტეჯი, სადაც ბავშვები თხილამურებს შეინახავენ და სავარჯიშოდ გამოეწყობიან. სხვათა შორის, სამოციან წლებში სწორედ ამ ადგილებში ვარჯიშობდნენ ჩვენი სახელოვანი სპორტსმენები კობა წაქაძე და იბრაგიმ ჯანგობეგოვი, მოგვიანებით იოსებ ნასყიდაშვილი და სხვები. საქართველოს სამთომოთხილამურეებს გაცილებით უკეთესი შედეგები ექნებოდათ და მწვრთნელთა მუშაობაც უფრო ნაყოფიერი იქნებოდა, ცხრაწყაროს სიკეთით ადრე რომ გვესარგებლა. ჩვენი სპორტსმენები საწვრთნელ შეკრებაზე ხშირად ტერსკოლში დადიან, რაც დიდ დროსა და ხარჯებს მოითხოვს, ამიტომ სასურველია ცხრაწყაროს სამთო-სათხილამურო ბაზა მალე გაფართოვდეს და კეთილმოეწყოს. საერთოდ, ბაკურიანის ბუნებრივი პირობები და რელიეფი ის განძია, რომლის უნარიანი გამოყენება საქართველოში ზამთრის სპორტის განვითარების ერთ-ერთ მთავარ პირობად მიმაჩნია. ეს მარტო ჩემი აზრი არ გახლავთ.

„დინამოს" რესპუბლიკური საბჭოს ხელმძღვანელობა ყოველნაირად გვეხმარება. არც ჩვენ, მწვრთნელები ვართ გულხელდაკრეფილი. როცა საჭიროა, დურგლობასა და ზეინკლობასაც არ ვთაკილობთ. წუწუნი არაფერს მოგვცემს, თუ მაქსიმალურად არ გამოვიყენეთ ის, რაც ჩვენს განკარგულებაშია, თუ თვითონ არ გავაკეთეთ ის, რისი გაკეთებაც საკუთარი ხელით შეგვიძლია. ვინც ასე არ ფიქრობდა, უკვე ჩამოგვცილდა. დავრჩით ისინი, ვისაც მართლა გვიყვარს საქმე. ჩვენთან ასეა: ყველაზე პატარებთან მწვრთნელთა ერთი ჯგუფი მუშაობს, წამოზრდილთა დაოსტატებაზე უფრო გამოცდილი სპეციალისტები ზრუნავენ. პირველი თანრიგის ნორმატივის შესრულების შემდეგ სპორტსმენები ვარჯიშს უმაღლესი სპორტული დაოსტატების სკოლაში აგრძელებენ. თუ რომელიმე მწვრთნელი შეჯიბრებაზე გამოიძახეს, მის ჯგუფებს დროებით სხვა მწვრთნელი იბარებს, „შენი" და „ჩემი" ჩვენთვის არ არსებობს, სხვანაირად არც შეიძლება — ჩვენ ხომ ერთ საქმეს ვემსახურებით. უკვე ცნობილი ოსტატების გია ორჯონიკიძის, გელა კოზანაშვილისა და სხვათა გვერდით პერსპექტიული ახალგაზრდებიც იზრდებიან: ლევან აბრამიშვილი, ზაურ ჯიჩოევი, ავთანდილ ჯანგობეგოვი, დავით ჩუტკო, მეგი პაპიკაშვილი, ტატიანა აბრამიშვილი, სოფია პეტროსიანი, ლეილა ოგანეზოვა და სხვები. როგორც იცით, ახლახან საქართველოს პირველობაზე გუნდურ ჩათვლაში, მოზრდილებშიც და მოზარდებშიც, ჩვენმა სპორტსმენებმა გაიმარჯვეს. „დინამოს" ცენტრალური საბჭოს ნაკრების წევრობის კანდიდატები არიან სამთომოთხილამურეები გელა კოზანიშვილი, დათო ოგანეზოვი, მეგი პაპიკაშვილი. გვყავს ძლიერი მხტომელებიც: კახა წაქაძე, ელგუჯა ორჯონიკიძე, იბრაგიმ გობოზოვი, მაგრამ პატარებთან ჯერ კიდევ ვერ ვმუშაობთ კარგად. ვფიქრობ, მდგომარეობა გამოსწორდება, თუ მწვრთნელები მხტომელებთანაც ბრიგადული წესით იმუშავებენ. მალე ბაკურიანში კიდევ ერთი 20-მეტრიანი ტრამპლინი ჩადგება მწყობრში. 90-მეტრიანის აღდგენას არ დაადგა საშველი, თორემ...

მალე ბაკურიანში ჩატარდება საკავშირო პირველობა ჭაბუკთა და გოგონათა შორის. ამ შეჯიბრებაზე ალბათ ტრასის კარგი ცოდნა გამოგვადგება, მაგრამ საქმე ის არის, რომ მიტარბის სწრაფდაშვების ტრასის მშენებლობა ჯერ არ დაუმთავრებიათ და ჩვენ აქ ჯერ არც ერთი ვარჯიში არ ჩაგვიტარებია. კოხტაგორის ტრასები ზამთრის პირველივე დღეებიდანვე მწყობრშია, მაგრამ აქ ტურისტები გვიშლიან ხელს. მათ არაფერს ვერჩით, მაგრამ ხომ შეიძლება მათთვის ტრასები ცალკე მოეწყოს. შარშან ბაკურიანში საერთაშორისო შეჯიბრება ჩატარდა. ორგანიზატორებმა სასტარტო და საფინიშო ჯიხურები სასწრაფოდ გამართეს, მაგრამ დამთავრდა ტურნირი და ჯიხურები გაქრა. არადა, ისინი ვარჯიშის დროსაც ისევეა საჭირო, როგორც შეჯიბრებისას. გარდა ამისა, სპორტსმენებს სჭირდებათ ავტობუსიც".

გრიგოლ ასლანიანს დიმიტრი სოტიშვილი ყურადღებით უსმენდა. „უმაღლესი სპორტული დაოსტატების სკოლის ჯგუფთან ერთად, შეთავსებით „კოლმეურნის" სპორტსკოლის ჯგუფსაც ვავარჯიშებ, — გვითხრა მან. — თხუთმეტი წელი იქნება, რაც ამ სკოლას სახელიღა შემორჩა — ბაზა ჩვენ არა გვაქვს და ინვენტარი, სავარჯიშო ტრასებზე და ტრანსპორტზე ლაპარაკიც ზედმეტია. ჯგუფში მოვარჯიშე თხუთმეტი სპორტსმენი ხუთი წყვილი თხილამურის ამარაა. რომელს შევახვედრო, აღარ ვიცი. ბავშვებს თვალებში ველარ ვუყურებ. შარშან ორმა უკან დამიბრუნა თხილამურები: არც სამაგრები გვაქვს და არც წაღები, მარტო თხილამურები რად გვინდაო. თუ სპორტსკოლაა, 80-100 ბავშვი მაინც უნდა ვარჯიშობდეს, ჩვენ კი სისტემატურად 30 სპორტსმენსაც ვერ ვუყრით თავს. უმჯობესია სკოლა დაიხუროს, ზედმეტ ხარჯებს მაინც ავიცილებთ თავიდან. „კოლმეურნეს" მოსავლელად ერთი-ორი ჯგუფიც ეყოფა".

მთელს ბაკურიანში მხოლოდ ერთი სპორტული დარბაზია. ლაპარაკია ბაკურიანის საშუალო სკოლის დარბაზზე. დღეს ეს დარბაზი ფაქტიურად მწყობრიდანაა გამოსული. სკოლაში ოთხასზე მეტი მოსწავლეა. ამას დაუმატეთ 100-მდე ასთმით დაავადებული ბავშვი პანსიონატ „მზის სხივიდან". სექციური მუშაობა სპორტის სამ სახეობაში, ცეკვის ჯგუფები, სპორტული სპეცკლასი, რომელსაც „დინამოს" მწვრთნელები შეფობენ, ჰოკეისტთა გუნდი, რომელსაც სკოლის ფიზაღზრდის მასწავლებელი შალვა სააკიანცი საზოგადოებრივ საწყისებზე ავარჯიშებს. აი, მათი სია, ვინც ამ გამოცარიელებულ დარბაზში მეცადინეობს. გოგონების გასახდელი ძველი ინვენტარითაა სავსე, ბიჭები პირდაპირ დარბაზში იხდიან და იქვე ჰკიდებენ ტანსაცმელს, სტუმრებს ამ დარბაზში სირცხვილით ვერ უშვებენ, სამი წლის წინ სკოლა ვითომ კაპიტალურად შეაკეთეს, მაგრამ რემონტის კვალი აქაურობას არ დასტყობია, დარბაზისთვის კი ხელიც არ უხლიათ. სკოლის დირექტორმა ლევან ბოგიევმა გვითხრა, ხარჯთაღრიცხვა გაკეთებულია და განათლების განყოფილება გაზაფხულზე აპირებს ამ საქმის მოგვარებას. ვნახოთ!..

**ალექსანდრე პაპოშვილი,**
**„ლელოს" სპეც. კორ.**

ბაკურიანი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველოს სპორტსახკომში

კოლეგიის მორიგ სხდომაზე ფეხბურთში საქართველოს პირველობის დაწყებასთან დაკავშირებით განიხილეს რესპუბლიკის სტადიონების მზადყოფნის საკითხი. ფეხბურთის სამმართველოს მიერ სხდომაზე წარდგენილ ინფორმაციაში აღნიშნულია, რომ რესპუბლიკის სტადიონების აბსოლუტური უმრავლესობა მზადაა სეზონისთვის. გალის, ყვარლის, ოჩამჩირის, გეგეჭკორის ბაზებზე გაჭიანურდა მთელი რიგი სამუშაოები. ვინაიდან ხაშურის სტადიონზე კაპიტალური რემონტი მიმდინარეობს, თამაშები ჩატარდება დაბა სურამში. შეშფოთება გამოითქვა ცხინვალის სტადიონის მოუმზადებლობის გამო, სადაც ფეხბურთის მინდორი, ტრიბუნები, გასახდელები, საშხაპეები, ცალკეული სათავსოები კეთილმოუწყობელია, სარემონტო თანხები კი აუთვისებელი რჩება; რესპუბლიკის ზოგიერთ რეგიონში დიდთოვლობისა და წყალდიდობის შედეგების გათვალისწინებით ცვლილებებია შეტანილი გათამაშების კალენდარში.

კოლეგიამ განიხილა ფიზკულტურული კადრების კვალიფიკაციის ამაღლების შემდგომი გაუმჯობესების საკითხი. გამოითქვა კრიტიკული შენიშვნები. მიღებული დადგენილება ითვალისწინებს მუშაობის მკვეთრად გარდაქმნას, კვალიფიკაციის ამაღლების შემდეგ სპეციალისტთა უკუგების საბოლოო შედეგის შეფასების სისტემის შემუშავებას.

როგორც ცნობილია, წელს პირველად ჩატარდება სპორტული სკოლების მოსწავლეთა საკავშირო სპორტული თამაშები, რომელსაც ჩვენი რესპუბლიკა უმასპინძლებს. კოლეგიამ მოისმინა თამაშებისთვის რესპუბლიკის ნაკრები გუნდების მზადების მიმდინარეობის საკითხი. დღის წესრიგში იყო კრივი, ფარიკაობა, ველოსპორტი, ნიჩბოსნობა (აკადემიური, ბაიდარებითა და კანოებით) და წყალბურთი. თითოეულ სახეობაზე მსჯელობა იყო ფართო მასშტაბით, ვიდრე ამას ერთი კონკრეტული ასპარეზობისთვის მზადება ითვალისწინებს. მუშაობის სისტემის, რეზერვების აღზრდის, სპორტული ბაზების მდგომარეობის, ჯგუფების დისლოკაციის, სპეციალისტების საქმიანობის ღრმა ანალიზის შემდეგ წარმოჩნდა მთელი რიგი პრობლემები, რომლებიც კონკრეტულად აისახა დადგენილებაში.

ექსპერიმენტის წესით გრძელდება სსრ კავშირის ხალხთა X სპარტაკიადისათვის სპორტის ცალკეულ სახეობებში შედეგების პროგნოზირების განხილვა, რაც ხელს უწყობს ძალების მობილიზებას და რეზერვების სრულ ამოქმედებას. კოლეგიამ ამჯერად მოისმინა ინფორმაციები იმის თაობაზე, თუ რა შედეგებს ვარაუდობენ მომავალ სპარტაკიადაზე მოკრივეები და მოფარიკავეები. სადღეისო მდგომარეობის რეალური შეფასებით დაისახა სპარტაკიადამდე დარჩენილ პერიოდში მუშაობის გააქტიურების გზები.

კოლეგიამ ცალკე იმსჯელა რესპუბლიკაში ნიჩბოსნობის შემდგომი განვითარების, მატერიალურ-სპორტული ბაზის განმტკიცებისა და სასწავლო-სპორტული მუშაობის გაუმჯობესების საკითხზე და მიიღო დადგენილება.

● ● ●

1986 წელს რესპუბლიკამ ვერ შეასრულა მაღალი კლასის სპორტსმენთა მომზადების ამოცანა. ევროპისა და მსოფლიოს პირველობებზე შემცირდა ჩვენი რესპუბლიკის ჩემპიონთა და პრიზიორთა რიცხვი, რაც იმაზე მეტყველებს, რომ სპორტსახკომის შესაბამისმა სამმართველოებმა საბოლოოდ ვერ გარდაქმნეს მუშაობა, არ არის ჯეროვანი კოორდინაცია და კონტროლი. ვრცელი მასალა ამ საკითხზე ცალკე გამოქვეყნდება.

მოისმინეს სპორტსახკომის სპორტულ ნაგებობათა სამმართველოს ანგარიში სპორტულ ბაზებზე მოსახლეობის ფასიანი მომსახურების მდგომარეობის შესახებ. აღინიშნა, რომ ამ მიმართებით ბევრი რამ გაკეთდა, მაგრამ ეფექტურობამ, რასაც სადირექტივო ორგანოების დადგენილებები მოითხოვს, ჯერ კიდევ ვერ მიაღწია სასურველ დონეს. ამ საკითხზე მიღებულ დადგენილებაში მითითებულია მთელი რიგი ხარვეზები და დასახულია მათი აღმოფხვრის გეგმა.

კოლეგიამ განიხილა აგრეთვე რესპუბლიკაში ფიზკულტურულ-სპორტული მოძრაობის გაუმჯობესების სხვა საკითხები.

## სპორტი სახალხო მეურნეობის სამსახურში

# მეხანძრეებო, იერიშზე!

ხანძარი მეტად საშიში სტიქიური მოვლენაა, ამიტომ სახანძრო დაცვის ორგანოებისა და საწარმო-დაწესებულებების ხელმძღვანელებს სერიოზული ამოცანები აქვთ გადასაწყვეტი სახალხო მეურნეობის ობიექტებზე და საცხოვრებელ სექტორში ხანძარსაწინააღმდეგო მდგომარეობის გასაუმჯობესებლად. ამ მიზნით ქუთაისის შინაგან საქმეთა სამმართველოს სახანძრო დაცვის განყოფილების (უფროსი ო. ჭაბუკიანი) და ნებაყოფლობითი სახანძრო საზოგადოების საქალაქო საბჭოს (თავმჯდომარე ვ. შავგულიძე) თაოსნობით ერთ საინტერესო შეჯიბრებას ჩაუყარეს საფუძველი — ამას წინათ ახალაგებულ ბაზაზე ჩატარდა ქალაქის საწარმო-დაწესებულებების მოხალისეთა სახანძრო რაზმების შეჯიბრება სახანძრო-გამოყენებით სპორტში. შეჯიბრების პროგრამაში იყო: საბრძოლო გაშლა, წინაღობათა ზოლის გადალახვა, საიერიშო კიბით მე-4 სართულზე ასვლა და ცეცხლის ჩაქრობა.

საერთო-გუნდურ ჩათვლაში 11 რაზმს შორის პირველი ადგილი, გარდამავალი თასი და ნსს ქუთაისის საქალაქო საბჭოს სიგელი მოიპოვა ქუთაისის ღვინის ქარხნის გუნდმა (უფროსი ს. ქარაზანაშვილი). მეორე და მესამე ადგილებზე გავიდნენ ხის დამმუშავებელი კომბინატის და ლითოფონის ქარხნის მოხალისეთა სახანძრო რაზმები.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ კარგი მომზადება გამოავლინეს საავტომობილო ქარხნის, ბამბეულისა და აბრეშუმის საწარმოო გაერთიანების, მინის ტარის ქარხნის, ტრიკოტაჟის ფაბრიკის მოხალისეთა სახანძრო რაზმებმა.

პირველი შეჯიბრება ყოველთვის სირთულეებთან არის დაკავშირებული და ამიტომ ამ ასპარეზობასაც გარკვეული ხარვეზები ჰქონდა, მაგრამ მისი ჩატარება ნამდვილად დროული იყო, რადგან სახანძრო-გამოყენებითი სპორტი ხელს უწყობს მეხანძრის (მით უმეტეს, მოხალისის) წრთობას, უვითარებს მას სიმკვირცხლეს, მოქნილობას, საზრიანობას, აჩვევს ხანძართან ბრძოლას. სწორედ ასეთ სპორტულ შეჯიბრებებში ნაწრთობ მოხალისე მეხანძრეებს შეუძლიათ დაიცვან სახალხო დოვლათი ხანძრისაგან.

**თამაზ კოლხიდელი.**
(„ლელოს" საკ. კორ.).

## ფეხბურთი

### საკონტროლო მატჩები

შავი ზღვის სანაპიროზე დასასრულს უახლოვდება ოსტატ ფეხბურთელთა წინასასეზონო მზადება და საკონტროლო მატჩები. სულ მალე, 9 მარტს, დაიწყება სსრ კავშირის საიუბილეო, 50-ე ჩემპიონატი.

ლანჩხუთის „გურია" მორიგ საწვრთნელ მატჩში შეხვდა დნეპროპეტროვსკის „დნეპრს". როგორც ჩვენი კორესპონდენტი მაია მესხია გვატყობინებს, თამაში ჩატარდა მუხლამდე თოვლში, რამაც, ცხადია, მეტად გაართულა თამაშის პირობები.

მატჩი დამთავრდა „დნეპრის" გამარჯვებით — 1:0. ეს ერთადერთი ბურთი 35-ე წუთზე გაიტანა შოხმა.

„გურიის" შემადგენლობა: იმნაძე, მიქაბერიძე, მახარაძე, ე. თევზაძე, მ. თევზაძე, ხლუსი, კოპალეიშვილი (კონდრატიევი, 46-ე წუთი), ტყებუჩავა, ჩხაიძე (გოლიგაშვილი, 46), ფრიდონაშვილი, მეგრელაძე.

გთავაზობთ სხვა რამდენიმე საკონტროლო შეხვედრის შედეგს: „ტორპედო" (მოსკოვი) — „კოლოსი" (ნიკოპოლი) 3:0, „დნეპრი" (დნეპროპეტროვსკი) — „ლოკომოტივი" (სამტრედია) 1:1, „არარატი" (ერევანი) — „სოკოლი" (სარატოვი) — 0:3.

### საქართველოს პირველობა

დაიწყო საქართველოს 1987 წლის საფეხბურთო ჩემპიონატი პირველი ჯგუფის გუნდებს შორის. 28 თებერვალს და 1 მარტს გაიმართა პირველი ტურის მატჩები:

„სალხინო" (გეგეჭკორი) — „მეტალურგი" (ზესტაფონი) 1:0, „სულორი" (ვანი) — „სქური" (წალენჯიხა) 0:3, „ამირანი" (ოჩამჩირე) — „ივერია" (ხაშური) 1:0, „კახეთი" (თელავი) — „მადნეული" (ბოლნისი) 3:2, „საპოვნელა" (თერჯოლა) — „ქართლი" (გორის რ-ნი) 2:1, „დინამო" (გაგრა) — „იმერეთი" (ქუთაისი) 3:0, „ეგრისი" (ცხაკაია)— ახალგაზრდული საფეხბურთო სკოლა (თბილისი) 2:0, ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი) — „სამეგრელო" (ჩხოროწყუ) 0:0, „კოლხეთი" (ხობი) — „იმედი"-„დინამო"-2" (თბილისი) 0:0.

### SOS

**არ შედგა მატჩები ყვარელში, მახარაძეში და მცხეთაში. მასპინძლები უამინდობას (თოვლის საფარი) იმიზეზებენ. ფაქტიურად კი, როგორც ირკვევა, ადგილებზე აქტიური ზომები არ მიუღიათ მატჩების ჩასატარებლად. მივლინებულმა პასუხისმგებელმა მუშაკებმა (ცომიძარია, მსაჯი) და სპორტსახკომის ფეხბურთის სამმართველომ ნაცვლად პრინციპული პოზიციისა მხარი დაუჭირეს ორგანიზატორთა პრეტენზიებს.**



### მატჩი გაიმართება ათენში

ფეხბურთში ევროპის ქვეყნების თასების მფლობელთა თასის ფინალური მატჩის ჩატარება თავდაპირველად ნავარაუდევი იყო ჰოლანდიაში. თუმცა, ამსტერდამის „აიაქსი" ჯერ კიდევ ინარჩუნებს ფინალში მოხვედრის შანსებს (მეოთხედფინალში მისი მეტოქეა შვეციის „მალმე"), ამ ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციამ უარი განაცხადა ამსტერდამში ჩაატაროს ეს მეტად საპრესტიჟო მატჩი. ჰოლანდიის ხელისუფლებამ და ფეხბურთის ფედერაციამ ეს უარი დაასაბუთეს საორგანიზაციო სიძნელეებით, აგრეთვე, იმით, რომ ვერ უზრუნველყოფენ წესრიგს და მაყურებელთა უხიფათობას.

როგორც კი ჰოლანდიელთა უარი გახმაურდა, საბერძნეთის ფეხბურთის ფედერაციამ უეფა-ს თავისი კანდიდატურა შესთავაზა თასების მფლობელთა თასის ფინალური მატჩის ათენის ოლიმპიურ სტადიონზე ჩატარების თაობაზე.

უეფა დათანხმდა ათენის კანდიდატურას, შემდეგ კომისია გაგზავნა საბერძნეთის დედაქალაქში, საიდანაც ოფიციალური დასტური მიიღო ფინალური მატჩის აქ ჩატარების შესაძლებლობის შესახებ. საბერძნეთის ხელისუფლება გარანტიას იძლევა, რომ 13 მაისს ათენის სტადიონზე ყველაფერი სრულ წესრიგში იქნება.

### აფართოებენ ოლიმპიურ სტადიონს

იტალიის სპორტულმა ხელისუფლებამ დაამტკიცა რომის ოლიმპიური სტადიონის რეკონსტრუქციის გეგმა. ამ ცნობილი სტადიონის გაფართოება განზრახულია 1990 წლის მსოფლიო ჩემპიონატის პროგრამით, რომელიც იტალიის ქალაქებში უნდა ჩატარდეს.

რომის ოლიმპიური ახლა 64,5 ათას მაყურებელს იტევს, რეკონსტრუქცია უნდა დამთავრდეს 1989 წლის ოქტომბრისათვის, ადგილების რაოდენობა გაიზრდება 20 ათასით.

იტალიის ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტმა ფრანკო კარარომ პრეს-კონფერენციაზე განაცხადა, რომ რომის მთავარი სტადიონის რეკონსტრუქცია დაიწყება წლეულს სექტემბერში, მძლეოსნობაში მსოფლიო ჩემპიონატის დამთავრების შემდეგ. ამ სტადიონზე ადგილების უმეტესობა ახლა ფეხზე სადგომია, ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციამ კი დაადგინა ასეთ სტადიონებზე მსოფლიო ჩემპიონატები არ ჩაატარონ, ვინაიდან ჯერ კიდევ ყველას კარგად ახსოვს ბრიუსელის „ეიზელზე" მომხდარი ტრაგედია, რისი მიზეზი სწორედ დგომელა ადგილები იყო, სადაც დაიწყო უწესრიგობანი და ჩხუბი.

ფ. კარარომ ამ პრეს-კონფერენციაზე უარი თქვა დაესახელებინა რეკონსტრუქციისთვის საჭირო თანხა, მაგრამ იტალიის ოლიმპიურმა კომიტეტმა რომის მუნიციპალიტეტს აცნობა, რომ წინასწარი ცნობებით ხარჯები დაახლოებით 39 მილიონ დოლარს მიაღწევს.

### დაპა მარადონას გამო

მსოფლიო ჩემპიონებს არგენტინელებს სურთ მარტში ხანმოკლე ტურნე მოაწყონ ევროპაში, მაგრამ როგორც მათმა მწვრთნელმა კარლოს ბილარდომ განაცხადა, გუნდის შემადგენლობაში ვერ გამოვა მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელი დიეგო მარადონა, რომელიც ამჟამად იტალიის „ნაპოლიში" თამაშობს.

„ნაპოლის" ხელმძღვანელობა თავის უარს იმით განმარტავს, რომ არგენტინელთა ევროპაში ჩამოსვლა ემთხვევა იმ პერიოდს, როცა „ნაპოლის" იტალიის ეროვნული ჩემპიონატის უმნიშვნელოვანესი მატჩები აქვს ჩასატარებელი, ნეაპოლელები კი ახლა ლიდერები არიან და რეალური შანსიც აქვთ ჩემპიონის წოდება მოიპოვონ.

— მარადონა თუ არ გვეყოლა, „ნაპოლი" თავის შესაძლებლობათა 50 პროცენტს დაკარგავს. — განაცხადა კლუბის მწვრთნელმა ოტავიო ბიანკიმ.

კ. ბილარდომ ჟურნალისტებთან საუბარში თქვა:

— ევროპაში დაგეგმილია მატჩები იტალიის „რომასთან" და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის „ჰამბურგთან", დიდი სურვილი გვქონდა თავი მოგვეყარა ყველა იმ უძლიერესი ფეხბურთელისთვის, რომლებიც ასე ბრწყინვალედ გამოვიდნენ მექსიკის მსოფლიო ჩემპიონატზე, მაგრამ, ეტყობა, ჩვენს ამ სურვილს განხორციელება არ უწერია.

### დაგვიანებული ჩემპიონატი

დამთავრდა ბრაზილიის საფეხბურთო ჩემპიონატი. „სან პაულუმ" ფინალურ მატჩში დაამარცხა „გუარანი" — 4:3 (დამატებითი პენალტებით) და მოიპოვა 1986 წლის ჩემპიონის წოდება.

განსაკუთრებით გამოირჩეოდა ახალი ჩემპიონის მოთამაშე კარეკა.

„სან პაულუ" ბრაზილიის ჩემპიონი იყო 1977 წელს. ორივე ფინალისტი — „სან პაულუც" და „გუარანიც" მონაწილეობას მიიღებს სამხრეთ ამერიკის ჩემპიონთა თასის გათამაშებაში.

ჩემპიონატი ასე გვიან დამთავრდა ორგანიზაციულ შეფერხებათა გამო. ამიტომ ამ ქვეყნის ფეხბურთის კონფედერაციას განზრახული აქვს გადასინჯოს ეროვნული ჩემპიონატის რეფორმა და ორიენტაცია აიღოს ახალ სისტემაზე, რომელსაც საფუძვლად დაედება ევროპის ქვეყნების გამოცდილება.

### „ოქროს გვირგვინის" ლაურეატები

როგორც უკვე ვიუწყებოდით, სამხრეთ ამერიკის № 1 ფეხბურთელის ჯილდო 1986 წელს ურუგვაელ ანტონიო ალზამენდის გადაეცა.

აი, მათი სია, ვინც ადრე მიიღო „ოქროს გვირგვინი": 1971 წელი — ტოსტაო (ბრაზილია), 1972 — კუბილასი (პერუ), 1973 — პელე (ბრაზილია), 1974 — ფიგეროა (ჩილე), 1975 — ფიგეროა, 1976 — ფიგეროა, 1977 — ზიკო (ბრაზილია), 1978 — კემპესი (არგენტინა), 1979 — მარადონა (არგენტინა), 1980 — მარადონა, 1981 — ზიკო, 1982 — ზიკო, 1983 — სოკრატესი (ბრაზილია), 1984 — ფრანჩესკოლი (ურუგვაი), 1985 — რომერო (პარაგვაი).

### პლატი—ახალი მწვრთნელი

წარსულში ცნობილი მეკარე ჯიმ პლატი დაინიშნა ფეხბურთში ჩრდილოეთ ირლანდიის ნაკრების მწვრთნელად. ეს მას შემდეგ მოხდა, რაც საუდის არაბეთის „ალ ნასერის" ხელმძღვანელობამ კატეგორიული უარი განაცხადა რამდენიმე ხნით მაინც გაეთავისუფლებინა ჩრდილოეთ ირლანდიელთა ნაკრების მწვრთნელი ბილ ბინგჰემი ამხანაგური მატჩების წინ შეკრების ჩასატარებლად.

ჩრდილოეთ ირლანდიის ფეხბურთის ფედერაციის მესვეურებმა მიიჩნიეს, რომ ბილ ბინგჰემის ასეთ გაუთავებელ მოგზაურობას საუდის არაბეთიდან სამშობლოში კარგი შედეგები არ შეიძლებოდა მოჰყოლოდა, ამიტომაც იგი ჯ. პლატით შეცვალეს.

### ფრენსისი სამშობლოში ბრუნდება

როგორც ცნობილია, „ოქროს ბუცის" 1984 წლის ლაურეატი, „ლივერპულის" უელსელი თავდამსხმელი იენ რაში ახალი სეზონიდან იტალიის „იუვენტუსში" ითამაშებს.

ჟურნალისტთა აზრით, ეს ლივერპულელთა კლუბისთვის დიდი დანაკლისი იქნება, მაგრამ გუნდის მოთამაშე-მენეჯერი, ცნობილი შოტლანდიელი ფეხბურთელი კენი დალგლიში სულ სხვაგვარად ფიქრობს. იგი დიდ იმედს ამყარებს „ოქსფორდ იუნაიტედიდან" მიწვეულ ირლანდიელ ჯონ ოლდრიჯზე.

31 იანვარს ოლდრიჯმა ხელი მოაწერა კონტრაქტს. ცნობილი გახდა, რომ „ლივერპულმა" იგი მილიონ გირვანქა სტერლინგად იყიდა.

ინგლისის ნაკრებისა და „მანჩესტერ იუნაიტედის" მეკარე გერი ბეილი იმედოვნებს, რომ თავის კლუბს დაუბრუნდება და მონაწილეობას მიიღებს ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის წლევანდელი გათამაშების მეოთხედფინალისტის, ბელგრადის „ცრვენა ზვეზდასთან" „ოლდ ტრეფორდის" სტადიონზე გამართულ ამხანაგურ მატჩში.

ბეილიმ, რომელიც ტრავმის გამო 12 თვით გამოეთიშა სპორტულ ცხოვრებას, თავისი ადგილი დაუთმო კლუბის სათადარიგო მეკარეს — კრის ტერნერს.

ინგლისის ნაკრებისა და „მანჩესტერ იუნაიტედის" კაპიტანი ბრაიან რობსონი ოპტიმისტურადაა განწყობილი. მას სურს მონაწილეობა მიიღოს ლიგის თასის მეოთხე ეტაპის მატჩში „ქოვენთრი სიტის" წინააღმდეგ.

„ქუინზ პარკ რეინჯერსის" თავდამსხმელი ალან ბრეზილი აპირებს განაახლოს თავისი სპორტული კარიერა.

ამ ცოტა ხნის წინ ხმა დაირხა, რომ იგი სერიოზულადაა დაშავებული და იძულებულია ფეხბურთი მიატოვოს, მაგრამ მას შემდეგ, რაც ბრეზილმა „ჩერინგ ქროს ჰოსპიტალში" ინტენსიური ფიზიოთერაპიული მკურნალობა ჩაიტარა, მას შეუძლია დაუბრუნდეს თავის კლუბს.

ბირმინგემის „ასტონ ვილას" მენეჯერი ბილი მაკნეილი აპირებს იტალიიდან დააბრუნოს „დაკარგული" ტრევორ ფრენსისი, ერთ დროს ინგლისის ნაკრების საუკეთესო ფეხბურთელი.

„დარწმუნებული ვარ, ფრენსისი გააუმჯობესებს „ვილას" თამაშს, ისევე, როგორც კევინ კიგანმა გამოაცოცხლა „ნიუკასლი" თავისი კარიერის დასასრულს", — განაცხადა ბილი მაკნეილმა.

ტრევორ ფრენსისი, რომელსაც აპრილში 33 წელი შეუსრულდება, მზად არის იტალიის „სამპდორიასა" და „ატალანტაში" ხუთწლიანი მოგზაურობის შემდეგ სამშობლოში დაბრუნდეს.

### წინადადებით მიმართეს ჰაპელს

ერთადერთი უცხოელი ფეხბურთის მწვრთნელი, რომელიც ამჟამად მუშაობს გფრ-ში, ავსტრიელი ერნსტ ჰაპელი („ჰამბურგი") გახლავთ. მას წლეულს უთავდება კონტრაქტი და გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში დარჩენას აღარ აპირებს.

ტურინის „იუვენტუსის" (იტალია) პრეზიდენტმა ჯ. ბონიპერტიმ ჰაპელს შესთავაზა მის გუნდს ჩაუდგეს სათავეში.

### საბჭოთა კავშირის ჩემპიონატი კალათბურთში

# ცსკა იმაგრებს პოზიციებს

**შაბათს** და კვირას გაიმართა უმაღლესი ლიგის კალათბურთელ ვაჟთა საკავშირო ჩემპიონატის ფინალური ტურნირის რამდენიმე მატჩი.

**მოსკოვი.** ცსკა-მ შინ ორი შეხვედრა ჩაატარა. ჯერ არმიელებმა დონეცკის „შახტიორი" დაამარცხეს — 66:62, მეორე დღეს კი თავიანთ მთავარ მეტოქეებს — კაუნასის „ჟალგირისის" კალათბურთელებს შეხვდნენ. გულშემატკივრები ამ მატჩს მოუთმენლად ელოდნენ, მაგრამ მოლოდინი არ გამართლდა. „ჟალგირისმა", რომელიც ბოლო შეხვედრებს თავისი ლიდერის ა. საბონისის გარეშე ატარებს, ღირსეული მეტოქეობა ვერ გაუწია მოწინააღმდეგეს და შედარებით ადვილად დათმო ბრძოლა — 70:104.

**რიგა.** ლენინგრადის „სპარტაკმა" ბოლო შეხვედრებში საგრძნობლად გააუმჯობესა თამაში და რამდენიმე მეტად პასუხსაგები მატჩი მოიგო. ამჯერადაც მას გასვლითი შეხვედრა ჰქონდა ვეფ-თან და კვლავ გაიმარჯვა — 103:94. სპარტაკელებმა სატურნირო ცხრილში მეოთხედან მესამე ადგილზე გადაინაცვლეს.

**გათამაშების ცხრილი**

მდგომარეობა 4 მარტისათვის

| | თ. | მ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|
| ცსკა | 32 | 27 | 5 | 3063-2546 | 59 |
| „ჟალგირისი" (კაუნასი) | 32 | 22 | 10 | 2847-2676 | 54 |
| „სპარტაკი" (ლენინგ.) | 32 | 19 | 13 | 2645-2596 | 51 |
| „დინამო" (თბილისი) | 32 | 18 | 14 | 2468-2626 | 50 |
| „შახტიორი" (დონეცკი) | 32 | 15 | 17 | 2547-2608 | 47 |
| ვეფ (რიგა) | 32 | 13 | 19 | 2796-2904 | 45 |

ტურნირის დამთავრებამდე ჯერ კიდევ არის დრო, არადა, მეტ-ნაკლებად გამოიკვეთა სუპერფინალური მატჩების წყვილები. ოქროს მედლებისათვის ბრძოლის რეალურ შანსს მოსკოვის არმიელები და კაუნასის „ჟალგირისი" ინარჩუნებენ, ბრინჯაოს მედლებისთვის კი — ლენინგრადის „სპარტაკი" და თბილისის „დინამო".

თბილისელი კალათბურთელები ორ მორიგ მატჩს შინ გამართავენ. დღეს ისინი ცსკა-ს შეხვდებიან, 4 მარტს კი რიგის ვეფ-ს უმასპინძლებენ.

# არაოფიციალური რეკორდი

**კვირას,** 22 თებერვალს, საქართველოს პროფსაბჭოს სპორტულ ნაგებობათა სამმართველოს სპორტულ კომპლექს „ბურევესტნიკის" დარბაზში საქართველოს რესპუბლიკური ათლეტური კლუბის „ამირანის", ნებაყოფლობითი სპორტსაზოგადოება „სპარტაკის" საქართველოს რესპუბლიკური საბჭოსა და საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის ინიციატივით ჩატარდა ათლეტთა შესარჩევი ტურნირი და დაკომპლექტდა ათლეტთა ნაკრები გუნდი, რომელიც 3-10 მარტს გაემგზავრება ქ. შიაულიაიში (ლიტვის სსრ) საკავშირო შეჯიბრებაში მონაწილეობის მისაღებად.

მონაწილეობდა 15 სპორტსმენი, რომელთაგან ყურადღება მიიქციეს ვლადიმერ ბედიაშვილმა და შოთა ბეხაშვილმა.

ათლეტთა ნაკრები გუნდის მთავარი მწვრთნელის, ზაზა ჯაფარიძის აზრით, შოთა ბეჟაშვილს შეუძლია ევროპის რეკორდი გააუმჯობესოს კლასიკურ წოლჭიმში. ამ ტურნირზე მან აღნიშნულ მოძრაობაში 250 კგ დაძლია, რაც 9 კგ-ით აღემატება წარსულში ცნობილი ძალოსნის, არაერთგზის მსოფლიოსა და ოლიმპიური თამაშების ჩემპიონის ი. ზაიცევის მიერ დამყარებულ სსრ კავშირის რეკორდს.



შოთა ბეჟუაშვილი წოლჭიმში სარეკორდო წონის აწევის მომენტში.
დავით კურტანიძის ფოტო.

### ა. კარპოვი — ა. სოკოლოვის სუპერფინალი

# მესამე პარტია

**ლინარესში** (ესპანეთი) მიმდინარე პრეტენდენტ ვაჟთა სუპერფინალის მესამე ტურში მეტოქეებმა დიდ შეხლა-შემოხლას შედარებით მშვიდი თამაში ამჯობინეს და უკვე 21-ე სვლაზე დაზავდნენ. ანგარიში გახდა 2:1 მსოფლიოს ექსჩემპიონ ანატოლი კარპოვის სასარგებლოდ. მომდევნო, მეოთხე პარტია რეგლამენტით დღეს უნდა გაიმართოს.

გთავაზობთ მესამე პარტიის ჩანაწერს:

**ა. სოკოლოვი — ა. კარპოვი**

კარო-კანის დაცვა

1. e4 c6 2. d4 d5 3. მd2 de 4. მ:e4 მd7 5. მf3 მgf6 6. მ:f6+ მ:f6 7. მe5 კe6 8. კe2 g6 9. 0—0 კg7 10. c4 0—0 11. კe3 მe4 12. ლc2 მd6 13. b3 c5 14. ეad1 მf5 15. d5 კ:e5 16. de ლc7 17. ef+ ე:f7 18. g3 ეaf8 19. კg4 მ:e3 20. fe ე:f1+. ყაიმი.

### სსრ კავშირის ჩემპიონატი ასუჯრედიან შაშში

# გამარჯვება პრინციპულ დავაში

**დაუგავპილსი** (ლატვია), 2 მარტი (დეპეშით, „ლელოს" სპეციალური კორესპონდენტი). ასუჯრედიან შაშში სსრ კავშირის ვაჟთა უმაღლესი ლიგის ჩემპიონატის დამთავრებამდე ოთხი ტურით ადრე პირველი გამარჯვება იზეიმა შეჯიბრების დებიუტანტმა, თბილისელმა ოსტატმა ჯუმბერ ბერიშვილმა. XIII ტურში მისი მეტოქე იყო კიეველი საერთაშორისო ოსტატი ალექსეი ბეზვერშენკო. ეს პრინციპული დავა გახლდათ, რადგან ამ შეხვედრამდე უკრაინის წარმომადგენელი ნახევარი ქულით უსწრებდა ჩვენს თანამემამულეს. ჯუმბერმა დებიუტშივე მეთოდურად შეუტია მეტოქეს და ენდშპილში ერთიანად შებოჭა. ამ ტურში მოგილიანსკიმ კიდევ ერთი გამარჯვება ჩაიწერა (მოუგო შულმანს) და დაეწია ლიდერს — კორენევსკის, რომელიც, თავის მხრივ, ჩიჟოვს დაუზავდა. ი. ერმაკოვმა დაამარცხა ა. ერმაკოვი, დანარჩენი პარტიები ყაიმით დამთავრდა.

13 ტურის შემდეგ 8,5-8,5 ქულით დაწინაურდნენ მიხაილ კორენევსკი (ლენინგრადი) და ალექსანდრ მოგილიანსკი (რიგა). ტუნდის ვალნერისს (რიგა) 8 ქულა აქვს. ჯუმბერ ბერიშვილი 6,5 ქულით IX-XII ადგილებს იყოფს.

**არტურ გოიხმანი.**

# კვიმატი ობიექტივი

**ამ** რუბრიკის განახლების შემდეგ უამრავი ბარათი მივიღეთ წარწერით: „კონკურსისათვის „კვიმატი ობიექტივი".

ჩვენი გაზეთის მკითხველი, რესპუბლიკის დამსახურებული მასწავლებელი ვ. ჯავახია გვწერს: „ეს რუბრიკა გაზეთსაც გაახალისებს, მკითხველსაც მიიზიდავს და ფოტორეპორტიორებსაც შეაგულიანებს. ერთი სიტყვით, მივესალმები „კვიმატი ობიექტივის" განახლებას".



დღეს შეგახსენებთ ამ რუბრიკით გამოქვეყნებულ ფოტოს და გაგაცნობთ მისთვის „კვიმატი ფოსტიდან" შერჩეულ ოთხ წარწერას.

თბილისელმა **გურამ ჭყოიძემ** მსაჯები ლექსად „გაკენწლა": **„ხანამ სახტვენს ჩავბერავდეთ, დარჩა მხოლოდ წამები, მატჩის ბედს ხომ უკეთ განვჭვრეტთ დახუჭული თვალებით".**

ქუთაისელი **მალხაზ ვაშაყმაძე** — ასევე ლექსად: **„გარე სამყაროს ვივიწყებთ მაშინ, როცა გაისმის ფეხბურთის მარში".**

**„ასე ტკბილად, უდარდელად, რამ დაგაძინათო?!"** — უკვირს თბილისელ **რეზო კოპაძეს.** გეგეჭკორელმა **ნუგზარ გაბისონიამ** და თბილისელმა **ამირან კაჭახიძემ** ამ სურათს „საფეხბურთო სიურპლიასი" უწოდეს.

საინტერესო წარწერებს გვთავაზობენ თბილისელები ლეო შენგელია, ნინო კოპაძე, ლონგინოზ ტყეშელაშვილი, მაია გეგია, გიორგი გურგენიძე, გიორგი ჭელიძე, ნოდარ ხარებაშვილი, მამუკა კვარაცხელია, თემურ ბელქანია, ლაშა მეტრეველი, ქუთაისელი ოთარ მეტრეველი, თერჯოლელი ნუგზარ გამყრელიძე, სოხუმელი მელორ ალფენიძე, ბათუმელი ჯუმბერ ჩარკვიანი და სხვები.

რედაქცია მადლობას უხდის კონკურსის ყველა მონაწილეს და მორიგ „გამოცანას" სთავაზობს მათ. შეგახსენებთ, რომ წერილი უნდა გამოგვიგზავნოთ მისამართით: თბილისი, 380096, ლენინის ქუჩა № 14. „ლელოს" რედაქცია. კონკურსისათვის „კვიმატი ობიექტივი".



### „სპორტლოტო"

**სპორტული** ლატარიების მთავარმა სამმართველომ შეაჯამა შედეგები 22 თებერვალს გამართული „სპორტლოტოს" მერვე ტირაჟებისა.

**„სპორტლოტო — 6-45"-დან:** გაიყიდა 1.012 670 ბარათი.

6 ციფრი ვერავინ გამოიცნო. 5 ციფრის გამოცნობისთვის (35 ბარათი) მოგება 2.264 მანეთია, ოთხისთვის (2.700) — 33, სამისთვის (45 151) — 3.

**„სპორტლოტო 5-36"-დან:** გაიყიდა 9.422 143 ბარათი.

5 ციფრის გამოცნობისთვის (146 ბარათი) მოგება 3.895 მანეთია. ოთხისთვის (17 224) — 66, სამისთვის (373.715) — 3.

მერვე ტირაჟების მოგებული თანხის განაღდება იწარმოებს 9 მარტიდან 9 აპრილის ჩათვლით.

* * *

**გუშინწინ** მოსკოვში შედგა „სპორტლოტოს" მეცხრე ტირაჟები.

**„სპორტლოტო 6-45"-დან:** 21 (ცურვა), 24 (ხელბურთი), 27 (მშვილდოსნობა), 34 (ბალახის ჰოკეი), 38 (მთამსვლელობა), 40 (რიკაობა).

**„სპორტლოტო 5-36"-დან:** 1 (კალათბურთი), 4 (კროსი), 9 (საგზატკეცილო ველორბოლა), 14 (აკადემიური ნიჩბოსნობა), 24 (ხელბურთი).

### წელიწადი-მკითხველი

**ლახტი.** მოთხილამურეთა მსოფლიო თასის მორიგ ეტაპზე წარმატებით იასპარეზეს საბჭოთა სპორტსმენმა ქალებმა, რომლებმაც გაიმარჯვეს 4X5 კმ ესტაფეტაში. გუნდში იყვნენ ანტონინა ორდინა, ლარისა პტიცინა, ელენა ტრუბიცინა და ანფისა რეზცოვა. ვაჟთა 30-კილომეტრიანი რბოლა ალექსეი პროკუროროვმა მოიგო.

**ბრატისლავა.** მსროლელთა ევროპის ჩემპიონატში სსრ კავშირის ნაკრებმა (პნევმატური იარაღი) ახალი მსოფლიო რეკორდი დაამყარა — 1773 ქულა. მსოფლიო რეკორდი გაუმჯობესდა პნევმატური პისტოლეტით სროლაშიც. აქაც თავი საბჭოთა სპორტსმენებმა გამოიჩინეს — 1752 ქულა.

**ჰამარი** (ნორვეგია). მსოფლიო თასი 500 მეტრზე ციგურებით რბოლაში მოსკოველმა სერგეი ფოკიჩევმა მოიგო — 37,48. მსაჯთა კოლეგიამ თავდაპირველად მოხსნა ჩვენი სპორტსმენი შეჯიბრებიდან, მაგრამ შემდგომში დააზუსტა ზოგიერთი დეტალი და მისი შედეგი დაამტკიცა.

# ჩოგბურთის ამბები

**ჩოგბურთის** საერთაშორისო ასოციაციის ცნობით, მსოფლიოს უძლიერეს ჩოგბურთელთა ხუთეულები დღეისათვის ასე გამოიყურება: ვაჟები — 1. ლენდლი (ჩეხოსლოვაკია), 2. ედბერგი (შვეცია), 3. ბეკერი (გფრ), 4. ნოა (საფრანგეთი), 5. ვილანდერი (შვეცია). ქალები — 1. ნავრატილოვა, 2. ევერტ-ლოიდი (ორივე — აშშ), 3. მანდლიკოვა (ჩეხოსლოვაკია), 4. შრაივერი (აშშ), 5. სუკოვა (ჩეხოსლოვაკია).

**წლეულს** მოსკოვში საჩვენებელი მატჩების სერია გაიმართება გამოჩენილ ამერიკელ ოსტატ ჯიმი კონორსსა და უძლიერეს საბჭოთა ჩოგბურთელ ანდრეი ჩესნოკოვს შორის. გარდა იმისა, რომ ოფიციალურ ტურნირებში მონაწილეობს, კონორსი ასეთ მატჩებს სისტემატურად მართავს სხვადასხვა ქვეყანაში. უკანასკნელად ჩესნოკოვს იგი თებერვალში შეხვდა მემფისში (აშშ) და მატჩი ანგარიშით 6:1, 6:3 მოუგო.

**ჩოგბურთელთა** პოპულარულ „ფედერაციის თასს", რომელიც ყოველ ზაფხულს თამაშდება, წლეულს ვანკუვერი (კანადა) უმასპინძლებს. თასი შარშან აშშ-ის ნაკრებმა დაისაკუთრა. ამჯერად ასპარეზობაში მოსალოდნელია სარეკორდო რაოდენობის გუნდების (45) გამოსვლა.

**ბიორნ** ბორგი (შვეცია), რომელიც რამდენიმე წლის წინათ მსოფლიოს № 1 ჩოგბურთელად ითვლებოდა, მართალია, ოფიციალურ შეჯიბრებებში აღარ მონაწილეობს, მაგრამ ხშირად მართავს საჩვენებელ მატჩებს.

ტორონტოში (კანადა) ბორგი შეხვდა ცნობილ ამერიკელ ოსტატ ჯონ მაკინროუს და საჩვენებელი მატჩი ანგარიშით 4:6, 6:2, 6:4 მოიგო.

### ჩემპიონობა შეინარჩუნეს

**იტალიელმა** პროფესიონალმა მოკრივემ პატრიციო ოლივამ (მჩატე წონა) დაამარცხა მექსიკელი როდოლფო გონსალესი და შეინარჩუნა მსოფლიო ჩემპიონის ტიტული. ესპანელმა ალფერდო ევანგელისტამ (მძიმე წონა) კი ევროპის ჩემპიონის ტიტულისთვის გამართულ ფინალურ ორთაბრძოლაში დაამარცხა ჰოლანდიელი ანდრე ვან დერ ოერტელაარი.



**ვ. ი. ლენინის სახელობის „დინამოს" სტადიონი**

**5 მარტი**

**ფეხბურთი**

**ამხანაგური მატჩი**

**„დინამო" (თბილისი) — „ჩერნომორეცი" (ოდესა)**

დასაწყისი. 18 საათსა და 30 წუთზე.

ბილეთები გაიყიდება სტადიონის სალაროებში 4 მარტს 10 საათიდან.

**უამინდობის შემთხვევაში მატჩი ჩატარდება „ლოკომოტივის" სტადიონზე.**

რედაქტორი
თ. გაჩეჩილაძე.

### სპორტის ვეტერანთა საყურადღებოდ!

**თბილისის** ვ. ი. ლენინის სახელობის „დინამოს" სტადიონს 1987 წლის საფეხბურთო სეზონში სპორტის ვეტერანთათვის გამოყოფილი აქვს სპეციალური ლოჟა დასავლეთ ტრიბუნის I იარუსის მე-5 სექტორში.

სპორტის ვეტერანებს შეუძლიათ ა. წ. 3 მარტიდან მიმართონ სტადიონის დირექციას ზემოაღნიშნულ ლოჟაში აბონემენტების მისაღებად. ბილეთები ამ აბონემენტებზე გაიცემა თამაშის დღეს, 12 საათამდე.

**თბილისის ვ. ი. ლენინის სახელობის „დინამოს" სტადიონის დირექცია.**

ჩვენი მისამართი:
წერილებისთვის — 380096.
თბილისი, ლენინის ქ. 14.
დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო".

რედაქციის ტელეფონები:
სამდივნო — 93-97-52,
ინფორმაციის განყოფილება — 93-97-53,
წერილების განყოფილება — 93-97-55,
„მერანი" — 93-97-26, „მართვე" — 93-97-27.

ჩვენი ინდექსი: 66435

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა. 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კომბინატში: ხოშარაულის, 29.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 უე 06795